ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №537221

ნომერი: AR1108030

თარიღი : 07.02.2013

გაცემის თარიღი : 13.02.2013

გაცნობის თარიღი : 14.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 19 / ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშიძე , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე ცაგურია პ/ნ 01008014283
- თბილისი, წყნეთის ქუჩა, კორპუსი N4, ბინა 25

ორგანიზაცია:

- შპს გეითვეი ჰოლდინგი კოდი: 204531499

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ: მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობსსაზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ში, რომელიც ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ–საქმიანი ზონაა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. აღნიშნულ ზონაში ასევე დასაშვებია დანართით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა (იხ. დანართი). ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტია კ–1=0,7,
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტია კ–2=4.6,

- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტია კ–3=0,1.

ამასთან, რადგან მიწის ნაკვეთი მისამართით რუსთაველის გამზ. #19 / აბაშიძის ქ. #5 მდებარეობს სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიმზადების დროს საკითხი უნდა იქნეს განხილული საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს _ გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ, ამისათვის საჭიროა დამატებით Tas.ge ელექტრონულ განაცხადებში, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესაბამის ველებში ატვირთოთ:

1. ესკიზური პროექტი Pdf ფაილი და CAD (AutoCad-ის ან ArchiCad-ის სახით)
2. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა (ახლო და შორი მანძილიდან (მთლიანი შენობის ჩვენებით) გადაღებული) და ფოტომონტაჟი Pdf ფაილი და CAD (AutoCad-ის ან ArchiCad-ის სახით)
3. არსებობის შემთხვევაში საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული ანალიტიკური კვლევა.
4. ინფორმაცია კონკრეტულად რა სახის მშენებლობის განხორციელება გსურთ (დანართის შესაბამისად).

(დანართი: ორი გვერდი)

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge